F795N489

ახალი ნაკადი

ფასი 50 კაპ.

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა ორგანო.

№ 1 ორშაბათი, 20 იანვარი. 1919

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

Музея Рев. Грузии

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი ამ თავითვე გამოვა კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა დროებით მიიღება „ქართულ ბეჭდვითი ამხანაგობის“ კანტორაში ბ. **ანტიოხ სტურუასთან** (გოლოვინის პრ., 26) და მუშტაიდის ქ., № 15, მუშათა კლუბში **ალექ. იოსელიანთან.** აქვე შეიძლება რედაქციის მდივნის ნახვა.

საქართველოს რესპუბლიკის მაშვრალთა მიმართ!

ამხანაგებო! მოხდა ის რაც უნდა მომხდარიყო: საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიას მუშათა კავშირების მეთაურობით გამოეყო მემარცხენე ნაწილი და დაარსა დამოუკიდებელი, საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია.

ჩვენ სრულებით და უნაკლულოთ ვდგევართ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ფარგლებში და გვრწამს და ვაღვიარებთ სიმართლეს და ჭეშმარიტებას ამ მოძღვრებისას. ამიერიდან ჩვენ უკიდურესად მოვითხოვთ და ცხოვრებაშიც ვაწარმოებთ წმინდა სოციალისტურ მისწრაფებათა და ზრახვათ გატარებას, ეს კი ის არის, რომ ჩვენ ხალხის მასაში გავაღვივებთ და აღმოვაცენებთ შეგნებასა და მოქმედებას, რომლის ერთად ერთი მიზანი იქნება მშრომელ მასსას მოუპოოს უფლება ცხოვრება, თავის საკეთილდღეოთ მოაწყოს. ჩვენ უნდა დავაახლოვოთ, შევაკავშირეთ და შევაჩვიოთ ერთმანეთთან თანამშრომლობას, როგორც ქალაქის ქარხნებსა და ფაბრიკებში მომუშავენი, ისე მიწის მუშა, სოფლის მშრომელი ხალხი, ვინაიდან მხოლოდ ასეთ შეკავშირებას და თანამშრომლობას მოუვება გაერთიანებული ფრონტი სოციალისტური მშრომელი ხალხის და ვინაიდან მხოლოდ ამ ნიადაგზე დამყარდება სოციალისტური წესწყობილება. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ერთ წუთსაც ვერ დავივიწყებთ, რომ ასეთივე მუშაობა და მოქმედება უნდა აღორძინდეს მეზობელ ერების და მთელი კაცობრიობის მაშვრალთა შორის, რომ ყოველი ერის მშრომელ ხალხს ერთი მეორის ესმოდეს და გაეგებოდეს, ერთი ენა ქონდეს და ლრმა სურვილი ერთმანეთის გაგებისა თანამშრომლობისა. ასეთ მოქმედებას ხელს შევუწყობთ მთელი ჩვენი ძალ-ღონითა და შეძლებით. ამიტომ ჩვენ ვართ ერთა კავშირის ამღიარებელნი და ამ კავშირის ფარგლებში გვსურს უზრუნველ ვყოთ ყოველი ერის სოციალისტური მშრომელი ხალხის დამოუკიდებლობა. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ასეთი გეზი მოქმედებისა ვერ იქნა გატარებული ცხოვრებაში, ამის უმთავრესი ბრალი კი ედება იმათ. ვინც დღემდი მეთაურობენ ხსენებულ პარტიას. ახლა ჩვენ იძულებული ვართ ერთხელ და სამუდამოთ ვსცადოთ ჩვენი დამოუკიდებელი ცდით, რომ ეს მისწრაფებანი ცხოვრებაში გავატაროთ და ორი ბანაკი მშრომელი ხალხისა ერთ მეორეს დაუკავშიროთ. ამიტომ ჩვენ ავაღორძინებთ მუშათა პროფესიონალურ კავშირებს და ამავე დროს მიწის მუშათა ასოციაციებს (ამხანაგობებს) და ამ ორ გვარ კავშირს ხელს შევუწყობთ ერთმანეთთან იქონიონ მჭიდრო დამოკიდებულება და თანამშრომლობა. ასეთ მოქმედებას კი ხელს არ უწყობდა პარტიის დღევანდელი საქმიანობა. ამ საქმიანობამ ვერ შექმნა ვერც მუშათა პროფესიონალური კავშირები, ვერც სოფლის მუშათა ასოციაციები და ვერც კი გააცნო ესენი ერთი მეორეს, არა თუ დაუკავშირა.

პარტიის თვრამეტი წლის მოქმედება ამ მხრით სრულებით გაქარწყლებულია, ჩვენ ასეთ საქმიანობას პარტიაში მუდამ ვებრძოდით. მაგრამ თანაგრძნობის მაგიერ დევნას განვიცდიდით. მოთმინების ფიალა აივსო და იძულებული შევიქენით გადაგვედგა დამოუკიდებელი ნაბიჯი, რომ ხსენებული ძირითად საფუძველს ჩვენი მრწამსისას გზა გავუკაფოთ და მტკიცეთ მოვაწყოთ. ეს ერთი. მეორე მუხლი უთანხმოებისა ის არის რომ ჩვენმა საპარლამენტო ფრაქციამ ალლო ვერ აუღო, თუ რა გვარ მუშაობას მოითხოვდა მისგან პარტიის მოძღვრების ძირითადი საფუძველი და უნარი / ვერ გამოიჩინა შეეფარდებინა თვისი მოქმედება ძირითად საფუძვლებთან. მან წარმოიდგინა, რომ იგი უკვე წევრია სოციალისტური მართებლობისა და მმართველ პარტიის მიერ შექმნილ მართველობაში სრული თანამშრომლობა დაიწყო. ამით მან დაივიწყა რომ პარლამენტი გამოქენებინა როგორც ერთი ძლიერი ორგანო მშრომელი ხალხის გაერთიანებისა და დაკავშირებისათვის. ამით მან მოადუნა სულის კვეთება და საქმიანობა თვით პარტიისა და პარტიული ცხოვრება დაშორა ძირითად პრინციპებს. ამიტომ, ჩვენ იძულებული შევიქენით ეს გეზი საპარლამენტო ფრაქციისა უარვყოთ და პარლამენტში ვითანამშრომლოთ იმდენად, რამდენად ეს პარლამენტი დადგენს კანონებს რომელნიც ხელს შეუწყობენ ზემო აღნიშნულ ზრახვათა ცხოვრებაში გატარებას და დამყარებას. ვიბრძოლებთ და ვიკამათებთ იმ კანონების წინააღმდეგ რომელნიც ამ ზრახვათ ეწინააღმდეგებიან ან დროებით აფუჩეჩებენ. ასეთი მოქმედებით პარლამენტში ჩვენ ვგსურს, რომ მშრომელმა ხალხმა შეგნებით თვალყური ადევნოს, თუ რას უმზადებს ეს პარლამენტი მას, რათა მშრომელმა ხალხმა დროზე შეაფასოს ამ პარლამენტის მოღვაწეობა და ყოველ წუთში გათვალისწინებული და გათვითცნობიერებული ქონდეს თვისი დამოკიდებულება ამ პარლამენტთან, და პარლამენტის მმართველ წრეებთან.

გამოვდიგართ რა ამ მოსაზრებიდან ჩვენ გვსურს რომ მშრომელი მასსა და შეგნებული ინტელიგენცია ერთი მეორის დამხმარე იყოს და არა ერთი მეორის გამგებელი: ჩვენ გვინდა, რომ ინტელიგენცია ამ მასსასთან თანამშრომლობდეს და მას უთვალისწინებდეს ყოველ შედეგს შორეულს და ახლობელს, ამა თუ იმ განკარგულებებს პარლამენტისას, ხოლო ამავე დროს კი ესმშრომელი ხალხი დამოუკიდებლად ისე მოქმედებდეს, როგორც ამას მოითხოვს მისი სწორი და ცხადად შეგნებული სასიცოცხლო ინტერესი. აი, ამ თანამშრომლობას, ამ შედუღებას ინტელიგენციისა და მშრომელი ხალხისას ვერ ვამჩნევდით ჩვენ დღემდი პარტიულ საქმიანობაში ამიტომ გვინდა დღეიდან ეს ნაპრალი ამოივსოს. მთელ ჩვენს ძალასა და შრომას მოვანდომებთ ამ ნაპრალის ამოვსებას და ვეცდებით შევადუღოთ სოციალისტური ინტელიგენცია და მშრომელი ხალხი. გამოვდიგარ რა ზევით აღნუსხულ შეხედულებებიდან და მოსაზრებიდან გვრწამს და ბეჯითად გვჯერა, რომ ამით ავამუშავებთ მშრომელი ხალხის პროგრამას ცხოვრებაში მალე გასატარებლად. ეს ისე გვჯერა რომ გვგონია მთელი სადღეისო მოქმედების სწორი და მართალი მხოლოდ ეს გეზია. ეს რწმენა გვასულდგმულებს ჩვენ და მძლავრ იმედსა გვგვრის, რომ ახლობელი მომავალი ამ მიმართულების განაღდებაა ცხოვრებაში.

საქართველოს რესპუბლიკის მაშვრალნო! მოგიწოდებთ შემოკრბით ჩვენს გარშემო, რომ შეერთებული და დარაზმული ვიცავდეთ თავისუფლებას და ვწმენდდეთ და ვაღრმავებდეთ იმ გზას, რომელიც სოციალიზმისაკენ წაგვიყვანს.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

გაუმარჯოს მაშვრალთა მასსას!

გაუმარჯოს ერთა კავშირს!

გაუმარჯოს სოციალიზმს.

საქართველოს მემარცხნე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის
დამფუძნებელი კრება.

ქედა-ქალაქი, 1919 წელი იანვრის 13.

ქედა-ქალაქი, იანვარი 20.

„ახალი ნაკადი“.

„სალი კლდე გასკდა ნაკადი
გადმოჩუხჩუხდა. ანკარა
და ბუჩქ-ბალახებს ყვავილებს
თვის მოვლინება ახარა“.

დღეიდან სიცოცხლეს იწყებს განსაზღვრული ჯგუფის ორგანო—„ახალი ნაკადი“. თავის გაჩენისთანავე ამ ჯგუფს წილად ხვდა წამება, დაცინვა და დევნა. მაგრამ იგი მაინც თამამად და თავგანწირულად იშვერდა ხელს სინაზისა და ბედნიერებისაკენ და ამაო იყო ობსკურანტიზმისა და რუტინის მსახურთა ყოველგვარი ცდა, მისს წინააღმდეგოდ მიმართული.

როდესაც ნიკოლოზ პირველის—ჯალათის მთავრობამ სიკვდილით დასაჯა პირველი რევოლიუციონერები—დეკაბრისტები, ერთმა მათგანმა სიკვდილის წინ სთქვა: თქვენ ხელთაა ამჟამად ჩვენი ხორციელი მოსპობა, მაგრამ თქვენ ვერასოდეს ჩაჰკლავთ ჩვენს იდეას. ჩვენი საკუთარი სისხლი და ძვლები იქნება ის ნიადაგი, რომელზედაც გაიზრდება, გაძლიერდება ჩვენი თავგანწირული სულისკვეთება და ბოლოს და ბოლოს სასტიკ დამარცხებას იწვნევთო. და ეს სიტყვები, მშვენიერი აზრის გამომთქმელი სიტყვები—შეეფერება არა მხოლოდ რომელიმე თვითმპყრობელს, არამედ

საზოგადოდ ყოველგვარ ჯგუფურ ძალმომრეობას, რომელსაც მიზნად დაუსახავს ახალი ნაკადის წაბილწვა, შეგინება და შეჩერება.

ჩვენ გვესმოდა, რომ მძიმე და ხშირად აუტანელი იქნებოდა ჩვენი ხვედრი, რომ ზოგჯერ თვით ჩვენვე დაგვჭირდებოდა გოლგოთის მთაზე წამების ჯვრის ატანა. დიაღ, ყოველივე ეს გვესმოდა, მაგრამ წყურვილი ახალი გზისა, მისწრაფება განახლებისადმი, რომელიც ერთად-ერთია სიცოცხლის დამამშვენებელი მოვლენა, ეგოდენ ძლიერი იყო ამ ჯგუფში, რომ ვერც განცდილმა დევნამ და ვერც მომავალში წარმოსადგენმა გაბოროტებულმა ლანძღვა-გინებამ იგი ვერ შეაჩერა და განზრახვაზე ხელი ვერ ააღებინა. დაცხრება ჩვენს მოპირდაპირეებშიაც ეხლანდელი მოუფიქრებელი და ბევრი მათგანი იძულებული იქნება ქედი მოიხაროს ჩვენი გზის წინაშე. ასეთი ყოფილა ყოველი ახალი ცდის ბედი, ასეთივე იქნება იგი მომავალშიაც.

ჩვენი ჯგუფი, რომელიც უმეტესად მუშებისაგან შესდგება, ერთის მოსმით, ერთის გადაჭრით არ გაშორებია ფედერალისტების პარტიას. პირიქით დიდი ბრძოლისა და ცდის შემდეგ, რაკი დარწმუნდა ძველი პარტიის გემის გასწორების შეუძლებლობაში, მდუმარედ, თავჩაქინდრული განშორდა ძველ ტაძარს, სადაც მას ბევრი მსხვერპლი შეუწირავს და სადაც თავისებური ლოცვა-ვედრება წარმოუთქვამს. და დღეს რო ამ ჯგუფს უდიერად იხსენიებენ, ეს არც საკვირველია! ახალ სიცოცხლეს არსებობის გზის გაკაფვა ბრძოლით სჭირდება და ჩვენი ჯგუფიც, ვიდრე ერთი კაცი მაინც იქნება ჩვენ წრეში ცოცხალი, ხიდედ დაედება, ახალ გსას, ახალ სხივს, ახალ სიცოცხლეს!

და დეე დაგვცინონ, გვლანძღონ, გვაგინონ! ბრძოლაში გამოწრთობილთ ეს ვერ შეგვაშინებს!

სოფლის და ქალაქის მუშების დაახლოება, მათთან სოციალისტური ინტელიგენციის შედუღება, რათა გავწმინდოთ გზა მშრომელთა და მაშვრალთა ბედნიერებისა, აი რა გვასულდგმულებს, რა გვამოქმედებს ჩვენ.

ჩვენ უკვე შეგვეკითხენ და შეგვეკითხებიან კვლავადაც, გვთხოვენ ჩვენ შორის პრინციპულ განსხვავებას. ამაზე პასუხს არა მეთაურით, არამედ სხვა ვრცელი წერილებით მიიღებთ, თუმცა ქამელეონობა ეგ თქვენი განუყრელი თვისებაა...

ჩვენ „ზოგერები“ გვამტყუნებენ, რატომ მოახდინეთ განცალკევება დამფუძნებელი კრების წინო. მოვახსენებთ მათ, ვინც ასე მსჯელობს, ხომ ცხადია მათ კანდიტადების რიცხვი უფრო აინტერესებსთ, ვიდრე პრინციპული მხარე. ვგონებთ, სადაო აღარ უნდა იყოს, რომ კანდიტატის არჩევის ტეხნიკური მხარე კი არის საყურადღებო, არამედ ის უმთავრესად, თუ **რას**, ან **როგორ** დაიცავს იგი. ჩვენ ჯგუფს სწორედ ეს აინტერესებდა და ამით ხელმძღვანელობდა იგი თავის მოქმედებაში.

ამ საკითხს, უეჭველია, კიდევ დაუბრუნდებით და მასზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

„ახალ ნაკადს“ მუშათა ორგანოს სრული იმედი აქვს, რომ მისი ხმა მიმოიბნევა საქართველოს კუთხეებში და მაშვრალთა რაზმებს თავს მოუყრის ჩვენი ჯგუფის გარშემო. ამ რწმენით, ამ იმედით „ახალი ნაკადი“ სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და ქალაქის ამხანაგ მუშებს!

სიმართლისათვის!

მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტია ფედერალისტების პარტიას გამოეყო, ყოფილი ჩვენი ამხანაგები საშუალებას არ ზოგავენ, რომ რაც შეიძლება მეტად გვლანძღონ და საზოგადოებაში ახლად შექმნილი ჯგუფის შესახებ ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ; პირდაპირ ძალადობასაც კი არ ერიდებიან; ამ მხრივ, ვგონებ, ყველა ჯგუფს გადააჭარბეს და საბოლოოდ გამოაშკარავეს თვისი ღვარძლიანი და ბოროტი ფიზიონომია. განსაკუთრებით ნიშანში ამოიღეს ჩვენი ამხანაგი ალ. წერეთელი. ჩვენ ჯერ-ჯერობით არავითარი სურვილი არა გვაქვს ამ ბინძურ კინკლაობაში მონაწილეობა მივიღოთ. გვინდა სიმართლის აღსადგენად საზოგადოებას ვამცნოთ შემდეგი: 1. ოპოზიციას ფედერალისტების პარტიაში აწარმოებდა არა კერძო პიროვნება, ამ შემთხვევაში ალ. წერეთელი, არამედ ქუთაისისა და თფილისის მუშათა კავშირების წარმომადგენლები. ეს ოპოზიცია განსაკუთრებით ძლიერი იყო პარტიის მესამე კონფერენციაზე, როდესაც კონფერენციის უმრავლესობამ პირველ კრებით უარი უთხრა მთავარ კომიტეტს, რომ იგი მთელი შემადგენლობით დასწრებოდა კონფერენციას გადამწყვეტი ხმით. მაგრამ კრებაზე პირდაპირი ძალადობა იხმარეს და სხდომა დახურეს. მეორე დღეს ზოგი შეაშფოთეს, ზოგიც იძულებული იყო ქალაქიდან წასულიყო. ამით ისარგებლეს ეგრედ-წოდებული „პოზიციის“ წევრებმა და მეორე დღეს ეს საკითხი თავისებურად შემოატრიალეს. მიუხედავად ამისა ოპოზიციონური სულისკვეთება კონფერენციის წევრებს შორის მისი მუშაობის დასასრულამდე არ დამცხრალა.

2. ამ ოპოზიციონური განწყობილების თანსნობა იკისრა თფილისის მუშათა კავშირმა და შემდეგ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა კავშირების დრ. მთავარმა გამგეობამ. ალ. წერეთელი ამ შემთხვევაშიაც ჩვენის კარნახით და დავალებით მოქმედებდა.

3. ფედერალურ საბჭოს კრებაზე ჩვენმა გამგეობამ თვისი მოხსენება გააკეთა. ჩვენ გვეუბნებიან: ჩვენს შორის პრინციპიალური განსხვავება ან იყოო. ფედერალისტების ერთი „უფროსი“ ამხანაგი იმასაც კი სწერს, ალბად შეეშინდათ დამფუძნებელი კრების წევრთა კანდიტატებათ არ დაგვასახელებენო“. ეს ვანცხადება თავიდან ბოლომდი სიყალბე და სიბინძურეა.

პრინციპული განსხვავება შეიძლება იქ იყოს, სადაც ორთავე მხარეს მართლაც აქვსთ მტკიცე პრინციპები, ამ ბატონებს კი თავიდან ბოლომდის სრული უპრინციპობა ახასიათებდათ. და ეს ემართება ყველა ჯგუფს, რომელსაც ყოველგვარი დეკლარაცია, თუგინდ „მხატვრულად“ დაწერილიც მხოლოდ ლამაზ ნიღაბად აქვს მიჩნეული; წაიკითხავენ მაღალ, მყვირალა მოხსენებას, გააბრუებენ რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით ჩამოსულ ამხანაგებს და შემდეგ თვის მოქმედებას ყოველ გვარ პრინციპს დააშორებენ. ამის მაგალითი ბევრი გვაქვს და თავის დროზე მოვახსენებთ მათ. ამას გარდა ჩვენ დაგუმტკიცებთ მათ ჩვენ პრინციპულ განსხვავებასაც. ამჟამად ამით დავკმაყოფილდებით.

4. ამხ. ალ. წერეთელი ფედერალურ საბჭოს კრებაზედაც ჩვენის დავალებით და რწმენებით მოქმედებდა, და თუ მისი მოქმედება მინმეს „მაგნე“ და „პირადი“ ინტერესებით გამოწვეული ჰგონია, კეთილ ინებონ და ასეთი დახასიათება ჩვენზედაც გაავრცელონ, რადგან მხოლოდ ჩვენის მანდატით მოქმედებდა ალ. წერეთელი.

5. ვინაიდგან ჩვენ აღარ ვენდობოდით იმ პირებს, რომლებიც ფედერალისტების ფრაქციაში იმყოფებიან, ხოლო მეორეს მხრივ არ გვსურდა ასეთ დროს პარტიიდან გასვლა, წინადადებით მივმართეთ მთავარი კომიტეტის წევრებს, რომ დამფუძნებელი კრების წევრთა კანდიტატების დასახელების დროს ყოველ ხუთეულში ჩვენთვის, მუშებისათვის ორი უკანასკნელი ადგილი დაეთმოთ. ამას ჩავდიოდით არა „ადგილების“ გულისათვის, არამედ იმ მოსაზებით, რომ მომავალ დამფუძნებელ კრებაზე ჩვენ ფრაქციაში მომხვდარიყვენ სხვების შორის ისეთი პირები, რომლებიც, ჩვენის რწმენით, შესძლებდენ დაერღვიათ ძველი ფრაქციის ოჯახური, შენ-ჩემური პოლიტიკა და ჩვენი მწამსის მტკიცე დამცველებიც იქნებოდენ. უამისოდ მათთან მუშაობა ჩვენ უმიზნოდ და უსაფუძვლოდ მიგვაჩნდა.

6. როდესაც ჩვენი მოთხოვნილება არ დაკმაყოფილეს და ჩვენთვის ცხადი შეიქნა, რომ ძველი გეზის შეცვლა არ შეიძლებოდა, ჩვენმა კრებამ გადასწყვიტა ცალკე ჯგუფი დაეარსებია და ეს შეასრულა კიდეც. ეს ამბავი ჩვენის დავალებით ფედერალურ საბჭოს კრებას აცნობა ამხ. ალ. წერეთელმა. მაშასადამე, თვით ჩვენ გავედით პარტიიდან და იმის გამოცხადება, რომ ალ. წერეთელი პარტიიდან გავაძევეთო, ეს მათის მხრივ მხოლოდ ყოვლად უკადრისი შურისძიებაა. ერთხელ კიდევ საჯაროდ ვაცხადებთ, რომ თუ ალ. წერეთელის მოქმედება პარტიაში „მავნე“ იყო, მაშინ ცხადია მავნე იყო თვით ჩვენი მოქმედება, რადგან იგი მხოლოდ ჩვენ დავალებას ასრულებდა და ჩვენს მოსაზრებათ იზიარებდა. ამის შემდეგ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენად შეუძლებელია ასეთ პარტიაში მუშაობა. ვაცხადებთ სიმართლის აღსადგენად და ამ თავითვე ვეუბნებით ჩვენს დღევანდელ მოპირდაპირეთ, რომ მათთან ბინძურ კინკლაობაში ვერ ჩავერევით, ხოლო მათ სიყალბეს კი შევეცდებით დავიწყების სუდარა არ გადაეფაროს.

საქ. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის მთავარი კომიტეტი.

ჩვენი პარტია — ჩვენ ოჯახი

14 იანვარს ფედერალისტების საბჭოს ბაზე ს.-ფედერალისტების პარტიას გამოეყო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია. ამ განყოფას დიდი და ღრმა საფუძველი ჰქონდა. იგი გუშინ არ დაწყებულა, თუმცა დამთავრდა კი გუშინწინ. დიდის წამებისა, მწარე განცდისა და ტანჯვის შემდეგ ერთმა ჯგუფმა, რომელსაც თავგანწირულად უყვარდა სოციალ-ფედერალიზმის პრინციპები, გადადგა პირდაპირი და დამოუკიდებელი ნაბიჯები და ფედერალურ საბჭოს განუცხადა, რომ იმ დღიდან იგი აღარ ეკუთვნის ს.-ფედერალისტების პარტიას და ახალ პოლიტიკურ ჯგუფად იქცა. თავჩაქინდრული, დაღონებული სცილდებოდა ეს ჯგუფი იმ წრეს, რომელთანაც მას წარსულში საერთო ცხოვრება აახლოებდა; მეორესმხრივ იმედით სავსე. ცხოველმყოფელი ენერგიით შეუდგა იგი თვისი ახალი მოწოდების შესრულებას. გზა თვისი მოქმედებისა მას ტანჯვის გზად, ნარ-ეკლით მოფენილ გზად ეჩვენებოდა. და არც მოსტყუვდა... პირველი ზიზღი და გაბოროტება მან იმათგან მიიღო, ვისთანაც 12—15 წელი მუშაობდა. და ამოძრავდა ენა ჭორიკანობისა, სიბინძურისა, მეშჩანური სულისკვეთებისა და იწყო ნთხევა დაგუბებული საშინელი შურისძიებისა.

ჩვენ არც ამან გაგვაკვირვა. მათგან ჩვენ ამას მოველოდით....

ჩვენ გვრწამდა, რომ მშობიარობა ყოველივე ახალისა იდეურ სფეროში დიდი ტკივილებითა და წამებით ბრის მოცული. და რაც უფრო მწვავეა და ღრმა ეს ტკივილები, მით უფრო მიყვარს ეს ახლად შობილი იდეა. და ისმენ რა გარშემო ადამიანთა—ყოფილ ამხანაგთა გაბოროტებულ და წრე-გადასულ სისინს, გული გიკვნესის არა იმიტომ, რომ იდევნები, არამედ იმიტომ, რომ ახლოს ეცნობი ადამიანის ზნეობრივ დაცემას და მის მორალურ გაკოტრებას. მერე ვინ არ გნებავთ, რომ არ გვლანძღავდეს ქუჩასა და პრესაში. ყველა, ვისაც შეუძლია საზღვარ დაუდებლათ ატრიალოს თვისი ენა. ხოლო ეს შეუფერებელი, მეტი რომ არა ვთქვათ, დევნა ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ჩვენი გზა ერთად-ერთი სწორი და სამართლიანია. და დეე იცოდენ იმათ, ვინც ჩვენ წინააღმდეგ აღიღეს მახვილი, რომ თვისი დევნით, შეურაცხყოფით, ლანძღვა-გინებით ვერ ჩაჰკლავენ ჩვენს სულსა და გულში იმ ახალს ნაკადს, რომელიც სამოქმედოდ მოგვიწოდებს. შეიძლება დაკეცეთ შუა გზაზე, მაგრამ ცუდად არ ჩაივლის ჩვენი თავგანწირული სულისკვეთება...

შემცდარნი ბრძანდებიან ის ვაჟბატონები, რომელთაც თვისი შხამიანი და გესლიანი ისარი ალ. წერეთლის საწინააღმდეგოდ მომართეს. ვინაიდან ალ. წერეთელი მარტო აქ არაფერ შუაშია. თუ მან ფედერალურ საბჭოს კრებას ახალი პარტიის დაარსება აუცხო, არა მხოლოდ თვისი მოსაზრებით, არამედ იმ მუშათა ორგანიზაციების დავალებით, რომლებიც ძველ პარტიაში დარჩენას უკვე შეუძლებლად სცნობდენ. ყოველგვარ რიგიანობას მოკლებულია ამ განცხადების შემდეგ ის ნაბიჯები თითქოს ფედერალურ საბჭოს დაედგინოს ალ. წერეთლის პარტიიდან გარიცხვა. ბ-ბო, ალ. წერეთელმა ჩვენი ჯგუფის დავალებით თქვენ წინდაწინვე

გაცნობათ, რომ ჩვენ პარტიიდან გადვიდარნ და ახალ ჯგუფს ვეკედლებითო, ამას შემდეგ თქვენს ყოვლად შეუფერებელ განცხადებას მხოლოდ ცინიზმის და ყოველგვარ მორალის ატროფიის სუნი ასდის. ჩვენ სწორედ ეს გარემოება გვახარებს, რადგან ვისაც სიმართლე აინტერესებს, იგი ამაში თქვენს ზნეობრივ გაკოტრებას დაინახავს მხოლოდ.

გარდა ამისა, ბ-ბო, ერთხელ და სამუდამოდ გიცხადებთ, რომ მთელი პასუხისგებლობა გადადგმული ნაბიჯებისა ჩვენ, მუშებს გვეკუთვნის და ჩვენთვის მხოლოდ ის არის სასიამოვნო, რომ ალ. წერეთელი ჩვენ შემოგვეკედლა და არა თქვენ; იგი ჩვენთან დარჩა და ჩვენთან ერთად იზიარებს წამებასა და ტანჯვას. თუ რამე სათქმელი გაქვსთ, მაშასადამე, ჩვენ საწინააღმდეგოდ, აქ წერეთელს ნუ კი ეხებით, შეეხეთ ჩვენს ჯგუფს და ვეცდებით საკადრისი პასუხი მოგახსენოთ... დარწმუნდით, ბ-ბო, რომ ერთხელ გადადგმულ ნაბიჯს ჩვენ არ ვუღალატებთ და სხვებსავით თქვენ წინაშე მლიქვნელობას არ დავიწყებთ....

ამაოდ სცდილობთ დაარწმუნოთ საზოგადოება, რომ ყოველივე რაც მოხდა, ეს ამხ. წერეთლის პირადი თავმოყვარეობისა და ინტერესების ზედგავლენითაა გამოწვეული. ჩვენ კარგად გვესმის, თუ რად იქცევით ასე, თქვენ გსურსთ ამით ორი კურდღელი დაიჭიროთ: ერთის მხრივ დაამცირონთ და გაამასხარაოთ ახალი ჯგუფის გამოსვლა და მოქმედება, ხოლო მეორის მხრივ კი გაიბიაბრუოთ ამხ. ალ. წერეთელის პიროვნება. ამაოდ სცდილობთ ერთსაც და მეორესაც. და უკანასკნელად ვიმეორებთ, რომ საქმე ერთ პიროვნებასთან კი არა გაქვსთ, არამედ განსაზღვრულ ჯგუფთან, რომელიც თქვენგან მეტ რიგიანობას მოითხოვს, თორემ თქვენ ისე შორს შეტოპეთ, რომ ყოველგვარი საზღვარი გადალახეთ... ზოგჯერ მაუზერების მოხმარებასაც არ ერიდებით... ეს გზა კი მოლიპულია. ნუ დაივიწყებთ, საქართველოს რესპუბლიკა მარტო თქვენზე არ არის დამყარებული... თავი დაანებეთ ძალმომრეობას, თორემ აქედან ბევრ ვერაფერს მოიმკით. გახსოვდესთ, რომ ჩვენ მხოლოდ თავდაცვას ვაწარმოებთ.

ანაბაპტისტი.

ხუთმეტთა სამეფო!

აღსრულდა! ფედერალისტებმა თავისი შავი გული გვიჩვენეს! ცამეტ იანვარს თავიდან მოიცილეს ისინი, ვისიც ბეჭებზე მსხდომნი საქართველოს პარლამენტში შებრძანდენ..... ერთი კვირაა ფედერალისტური მთავარი ბინა. გადაიქცა ასპარეზად მაუზერების ტრიალისა, გაცხარებული შეტაკებების და ამგვარად იდევნება ფედერალისტურ სინიდისიდან სიყვარული და პატივისცემა იმ მუშებისადმი რომელნიც თავდადებულნი შეუპოვრად და მედგრად თვრამეტი წლის განმავლობაში უტევდენ საერთო მტერს, საერთო ორგულს, და გააფთრებულ ბრძოლით იკვლევდნენ გზას სოციალიზმის ბრწყინვალე იდეალისკენ... ქართველ საზოგადოებას აღშფოთებს. ის საშინელი შხამნარევი სისინი ჩვენი ყოფილი ამხანაგების რომელიც ერთი კვირაა ჩვენს წინააღმდეგ გააფთრებით სწარმოებს, ასეთი მედგარი და ანჩხლი შეტევა, რომ მათ ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ეწარმოებინათ მაშინ ხომ მათ არ დასტანჯავდა სევდა, პოლიტიკური ორპირობის, გელოვანების მოქმედების, ნიკოლოზ იმპერატორების, ოთხმოცდა ათი წლის ერობის და სხვათა ბრწყინალე საქმეთა მოგონების, მაგრამ იგინი ვინც მარადის ქალაჩუნა სიცოცხლეს მოათრევდა სხვათა შორის დღეს გმირობენ, დღეს რაინდობენ... ვის წინააღმდეგ გაისმის ეს მდრტვინავი ხმა, ამ უდღეურ და უშუშარ ხალხისა?... ვის ებრძვიან ასე თავ-გამეტებით, ჯაჯანაშვილები, ფირცხალავა-პაპავები? ვის წინააღმდეგ გამოატანინა პროტესტი სტამბის მუშებს, მუდმივმა რენეგატმა სოც.-დემოკრატების, ტოროტაძემ? სად და ვის წინააღმდეგ ეწევიან აგიტაციას ფედერალისტების „ორი გვარგვინი“ ნუცუბიძე და უზნაძე—ეს დიდნი და მიუკარებელნი გვამები?!! დიახ ეს მძიმე, ეს ჯერმანული არტილერია, დაძრულია ჩვენ, მუშების წინააღმდეგ და გონიათ რომ თუ „ბიუროდან“ გამოგვრეკეს ხალხი, პარტიული მასსაც თანაგრძნობას დაგვიკარგავს, გონიათ საქართველოს დემოკრატიამ არიცის ან არ ახსოვს თუ ვინ იბრძოდა სამშობლოს და რევოლიუციისათვის მაშინ, როცა ჯაჯანაშვილები და „სახალხო ფურცელის“ რედაქცია გუნდრუკს უკმევდა ნიკოლოზ იმპერატორის „მობრძანებას“, გონიათ დაივიწყა ხალხმა როცა ფირცხალავები მუშებს ბრბოს სახელ წოდებით ნათლავენ, როცა საყვარელიძეები უვიცსა და ბრმებს უწოდებენ. და აი ეს „სოციალისტური“ ინტელიგენცია რომელიც დახასიათებულია ოთხმოცდაათი წლის ერობის საჯაროდ მოთხოვნით, რომლის პოლიტიკური გამდებობა არსად არავის არ ახსოვს, დღეს შეიჭურვა ფარხმალით და ქუდზე კი გაგზავნილია სხვა და სხვა წოდების ჭრივატდოცენტები, დირექტორები, დიპლომატები (რომელთაც ღირსეულად „საქართველო“ ამკობს) და სხვა მრავალნი, წვრილნი თუნდაც განათლების სამინისტროს ფინიებიანაც და გამოყრილი სტუდენტობა „შალვა ვადაჭკორიის მეთაურობით (რომელიც არა კვთილ სიამედობის გამო, მესამე კონფერენციამ ყრილობიდან დაითხოვა) დაძრულია მუშების, იმ მუშების რომელთა პოლიტიკურ-მოღვაწეობას იცნობენ მტრებიც კი... ვინ არიან ამხანაგებო ამ მუშებში დავასახელებთ ზოგიერთებს (ქელბაქიანი ყველაზე ადრე განშორდა ამ ბრწყინვალე „პოზიციას“ და იგი არ მოკარებია მას არც ერთხელ ვიდრე ჭტოროტაძე პარლამენტის ტრიბუნას ამშვენებს; დანარჩენები—ჩომახიძეები, სულთანიშვილები, უსტიაშვილები, კვერეხაძეები, კეკელიშვილები, ბარათაშვილები, ჩიკვაიძეები, ხურციძეები, იოსელიანები, დოლიძეები, დათეშიძეები აი ეს კენ გიშვრენ ქუთაისისა და ფოთის ამხანაგო მუშებო ხელს, პრივატდოცენტები, დირექტორები და მოგიწოდებენ „ჯვარს, ჯვარს აცვით ეგეო!“ დიახ მუშებო! ყოველი კუთხისა და მხარის თუ თქვენ იტყვით რომ, არ იცნობთ ამ სამშობლოსა და რევოლიუციის შვილებს მოდით და დეე თქვენმა კოჩიანმა ხელებმა ჩვენ პირველმა გაგვიპოს გული, დეე თქვენ დაგვახრჩეთ თუ სასიკვდილონი ვართ და არა იმ ხალხმა რომელმაც გარეკეს ჩვენი პარტიის საუკეთესო ნაწილი.

ეს კვირა მმხანაგებო, კვირაა დიენის, კვირაა წამების, კვირაა ეუქარის და ვინ იცის თუ თქვენ, მუშათა კლასმა არ აიმაღლეთ ხმა ამ შურისძიებით აღსავსე ხალხის მიმართ, ისინი რომელთაც განიზრახეს ლაშქრობა ჩვენს წინააღმდეგ არ დაზოგავენ არავითარ საშუალებას, ჩვენ არავითარი შეურაცყოფა არ მიგვიყენებია მათთვის და სრული სინდისით, სრული დამშვიდებით დეენტლმენურად მივატოვეთ დარბაზი სადაც, არავის არც ერთი სიტყვა არ წამოცდენია, თუ რათ განდევნეს ჩვიდმეტმა ინტელიგენტებმა ნახევარი ნაწილი ფედერალური საბჭოსი. დიახ გულგრილად, დიახ გულცივად, მოგვიგლიჯეს გულიდან და მაგრად გადაგვირაზეს კარები სადაც ჩვენ, ჩვენი მუშური სიტყვა, მუშური საქმე და მუშური შემოქმედება შეგვქონდა... პროვინციელნო ამხანაგებო,—თქვენთან მოვლენ დიპლომატები, იურისტები, ექიმები ყველა ვისი შუბლის კანიც ჩეულია პარტიაში პრივილეგიებს და გეტყვიან, რომ თქვენც ამხედრდეთ ჩვენს წინააღმდეგ, რომ თქვენც დაგვემუქროთ მაუზერებით, მაგრამ არც ერთი ხმა მათ, არც ერთი თანაგრძნობა ამ ჩვენს უბადრუკ და უდღეურთ პოლიტიკოსებს!....

უბრალო მუშა.

ცვალებადობა.

ძველი, სულთამხუთავი ნიკოლოზის რეჟიმი, მწარე მოგონებაა რუსეთის ქვეშემრდომ ხალხისთვის, როგორც ცხოველი აზრის გამთოშე და სულ შემხუთი თავისუფალ მოაზროვნესთვის. მისი მთავრობა სდევნიდა დიდის ენერგიით ყველა მათ, ვისაც დაეტყობოდა უნარი მშრომელთა საკეთილდღეოთ მუშაობისა.

ამ მწარე სამსალას სვამდა რუსეთის ყველა მოქალაქე, განსაკუთრებით იდევნებოდა არა რუსი ელემენტები და მასთან ერთად ქართველობა. ძველი ნიკოლოზის მთავრობა იდგა წმინდა იმპერიალისტურ, რუსულ, ნაციონალისტურ საფუძველზე და არა რუსთ გასაქანს არ აძლევდა.

შესრულდა თუ არა საქართველოს და რუსეთის შორის დადებული პირობისამებრ ასი წელი, რუსეთის მთავრობამ პირობის განაღდების მაგიერ ჩვენი შეერთების იუბილეი გადაიხადა და ჩვენ ეროვნულ თავისუფლების იმედს „სულთათანა“ უგალობა მაშინ შემოკრბენ „რჩეულნი სამშობლოისა“, და გადასწყვიტეს ბრძოლა საქართველოს თავისუფლებითვის. მათ თავის დროშას დააწერეს; აღდგენა საქართველოსი, მაგრამ საქართველოს მოღალატე შვილებისგანვე, იგინი გაცემულ იქმნენ და რეაქციის მწარე ჭლანჭებისგან დათურგვნილნი...

დადგა ახალი აღორძინების ხანა! გამოვიდა ცხოვრებაში უფრო მემარცხნე, სოციალისტური მიმდინარეობა, მაგრამ საუბედუროთ შიგ არავითარი, ეროვნული სული არ ღვიოდა, ასეთმა ნაკლულმა საქმიანობამ ბუნებრივათ წარმოშვა ახალი ძალა, რომელმაც თავის დროშაზე დააწერეს „ეროვნული თავისუფლება და სოციალიზმი“. ამან მიიზიდა საქართველოს შეგნებული ნაწილი, და რუსეთის რეჟიმით უკმაყოფილო ელემენტები სხვა და სხვა ჯურისა. აი ამ ნაირი შემადგენლობისა იყო კარგა ხანს სოც.-ფედერალისტების პარტია, გავიდა ხანი, რუსეთის რეაქციას შემოდგომა დაუდგა და დესპოტმა იგრძნო ასე ცხოვრება არ შეიძლებაო და გამოსცა მანიფესტი. ამ მანიფესტმა ზოგიერთი პირი შეარიგა მთავრობას და ნაცვლად ძველი რევოლუციონური მოქმედებისა, მათ ლიბერალური პოლიტიკის წარმოება დაიწყეს. ასეთი გამოჩნდენ ფედერალისტებს პარტიაშიაც და ცოტა ადენი ასეთნი — მაგრამ დეგ განშორდენ [illegible] — [illegible] განსაკუთრებელი მემარჯვნე ჯგუფი.

ფედერალისტების განწმენდა დიდათ სასიხარულო იყო ნამდვილ დემოკრატ და სოციალისტ ელემენტთათვის ქართველმა ბურჟუაზიამ თავის მიზანს მიახწია და გაჩერდა. დარჩა ორი უმთავრესი ელემენტი რომლების ინტერესთა შეთანხმება შესაძლო იყო.

ესენი იყვნენ ინტელიგენტები, ნასწავლები, რომლებსაც მანიფესტმა ვერაფერი სარგებლობა მოუტანა. იგინი მსახურებდენ მთავრობის დაწესებულებებში და უმაღლეს სწავლა მიღებულთათვის უბრალო რუსის „დვორნიკი“ მაინც მბრძანებელი იყო.

სოც.-ფედერალისტთა პარტიის ღირსება კი იმაშია, რომ იგი იბრძოდა უმეტესად ეროვნული თავისუფლებისათვის. მეორე ელემენტი იყო ის მუშები, რომლის კლასობრივი ინტერესი ითხოვს სოციალისტურ წესების დამყარებას, ამათ გააჩაღეს პარტიული მუშაობა, მაგრამ დრო მუდამ ცვალებადია. საქართველომ ეროვნულს თავისუფლებას მიახწია, მარტო ეს ამაოდა ქართველ დიპლომიანებისთვის, რომ მათ ყველაფერზე ხელი აეღოთ, მოეძებნათ მყუდრო, თბილი, კაბინეტი და არხეინ ცხოვრება შესდგომოდენ და ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ პარტიულ მთავარ ბინაში ამ ხალხის საკარძელი ადლის სიმაღლე მტვერმა დაჰფარა. დარჩა ერთი ნაწილი რომელიც მოვალეა სოციალიზმისთვის ბრძოლა აწარმოოს ეს მშრომელი მუშა ხალხია. ამ ხალხმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა უარყონ ცუდი ძიძები. ამიერიდან სოციალისტ-ფედერალისტმა მუშებმა დაიარსეს სოციალისტური მუშათა პარტია და თავის დროშას დააწერეს „მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეა“. სოც.-ფედერალისტები მუშები უკვე განიწმინდნენ; მათ აქვთ საკუთარი „მაშვრალთა პარტია; ჩამოშორდენ მათ ისინი, ვინც სოციალიზმისთვის ვერ იბრძოლებდენ; დაგვრჩა მცირე რიცხოვანი ნამდვილ სოციალისტურ ინტელიგენცია.

ასე ამხანაგებო, საკუთარი ინიციატივით და გზით სოციალიზმისაკენ! შევკრათ მტკიცე მუშათა ორგანიზაციები და მომავალი ჩვენია. ჩვენი საქმე ახალი და აუცილებელია და ჩვენი გაზეთიც „ახალ ნაკადი“ შრომის და თავისუფლების სამეფოსაკენ.

მუშა მრისხანე.

ჩვენი გზა.

ჩვენ ამიერიდგან დამოუკიდებელი გზით უნდა ვიაროთ, ჩვენ და მათ შორის შემაერთებელი ძაფი გაწყდა...

პირველი შეხედვით ეს თითქოს უდროოა ან განსხვავება არსებითი არაა, მაგრამ ასეთი შეხედვა საქმისადმი ზერელი და დაუკვირვებელი იქნება. ასიმსჯელებენ ფედერალისტთა პარტიის ხელმძღვანელნი, რომელნიც [illegible] არიან მიეთ-მოეთურ წერასა და [illegible] რაკს, იგინი სიტყვით უკიდურესი [illegible] ცნენი არიან, დამცველნი მშრომელი ხალხის ინტერესებისა, მხოლოდ საქმით კი [illegible] სულ უმოქმედონი არიან ან უკეთეს [illegible] თხვევაში ოპორტიუნისტულ პოლიტიკას აწარმოებენ, ან დაუსრულებლად [illegible] ხალებენ მმართველ პარტიას.

ზრახეს ლაშქრობა ჩვენს წინააღმდეგ არ დაზოგავენ არავითარ საშუალებას, ჩვენ არავითარი შეურაცყოფა არ მიგვიყენებია მათთვის და სრული სინდისით, სრული დამშვიდებით დეენტლმენურად მივატოვეთ დარბაზი სადაც, არავის არც ერთი სიტყვა არ წამოცდენია, თუ რათ განდევნეს ჩვიდმეტმა ინტელიგენტებმა ნახევარი ნაწილი ფედერალური საბჭოსი. დიახ გულგრილად, დიახ გულცივად, მოგვიგლიჯეს გულიდან და მაგრად გადაგვირაზეს კარები სადაც ჩვენ, ჩვენი მუშური სიტყვა, მუშური საქმე და მუშური შემოქმედება შეგვქონდა... პროვინციელნო ამხანაგებო,—თქვენთან მოვლენ დიპლომატები, იურისტები, ექიმები ყველა ვისი შუბლის კანიც ჩეულია პარტიაში პრივილეგიებს და გეტყვიან, რომ თქვენც ამხედრდეთ ჩვენს წინააღმდეგ, რომ თქვენც დაგვემუქროთ მაუზერებით, მაგრამ არც ერთი ხმა მათ, არც ერთი თანაგრძნობა ამ ჩვენს უბადრუკ და უდღეურთ პოლიტიკოსებს!....

უბრალო მუშა.

ცვალებადობა.

ძველი, სულთამხუთავი ნიკოლოზის რეჟიმი, მწარე მოგონებაა რუსეთის ქვეშემრდომ ხალხისთვის, როგორც ცხოველი აზრის გამთოშე და სულ შემხუთი თავისუფალ მოაზროვნესთვის. მისი მთავრობა სდევნიდა დიდის ენერგიით ყველა მათ, ვისაც დაეტყობოდა უნარი მშრომელთა საკეთილდღეოთ მუშაობისა.

ამ მწარე სამსალას სვამდა რუსეთის ყველა მოქალაქე, განსაკუთრებით იდევნებოდა არა რუსი ელემენტები და მასთან ერთად ქართველობა. ძველი ნიკოლოზის მთავრობა იდგა წმინდა იმპერიალისტურ, რუსულ, ნაციონალისტურ საფუძველზე და არა რუსთ გასაქანს არ აძლევდა.

შესრულდა თუ არა საქართველოს და რუსეთის შორის დადებული პირობისამებრ ასი წელი, რუსეთის მთავრობამ პირობის განაღდების მაგიერ ჩვენი შეერთების იუბილეი გადაიხადა და ჩვენ ეროვნულ თავისუფლების იმედს „სულთათანა“ უგალობა მაშინ შემოკრბენ „რჩეულნი სამშობლოისა“, და გადასწყვიტეს ბრძოლა საქართველოს თავისუფლებითვის. მათ თავის დროშას დააწერეს; აღდგენა საქართველოსი, მაგრამ საქართველოს მოღალატე შვილებისგანვე, იგინი გაცემულ იქმნენ და რეაქციის მწარე ჭლანჭებისგან დათურგვნილნი...

დადგა ახალი აღორძინების ხანა! გამოვიდა ცხოვრებაში უფრო მემარცხნე, სოციალისტური მიმდინარეობა, მაგრამ საუბედუროთ შიგ არავითარი, ეროვნული სული არ ღვიოდა, ასეთმა ნაკლულმა საქმიანობამ ბუნებრივათ წარმოშვა ახალი ძალა, რომელმაც თავის დროშაზე დააწერეს „ეროვნული თავისუფლება და სოციალიზმი“. ამან მიიზიდა საქართველოს შეგნებული ნაწილი, და რუსეთის რეჟიმით უკმაყოფილო ელემენტები სხვა და სხვა ჯურისა. აი ამ ნაირი შემადგენლობისა იყო კარგა ხანს სოც.-ფედერალისტების პარტია, გავიდა ხანი, რუსეთის რეაქციას შემოდგომა დაუდგა და დესპოტმა იგრძნო ასე ცხოვრება არ შეიძლებაო და გამოსცა მანიფესტი. ამ მანიფესტმა ზოგიერთი პირი შეარიგა მთავრობას და ნაცვლად ძველი რევოლუციონური მოქმედებისა, მათ ლიბერალური პოლიტიკის წარმოება დაიწყეს. ასეთი გამოჩნდენ ფედერალისტებს პარტიაშიაც და ცოტა ადენ ასეთნი — მაგრამ დეგ განშორდენ [illegible] — [illegible] განსაკუთრებელი მემარჯვნე ჯგუფი.

ფედერალისტების განწმენდა დიდათ სასიხარულო იყო ნამდვილ დემოკრატ და სოციალისტ ელემენტთათვის ქართველმა ბურჟუაზიამ თავის მიზანს მიახწია და გაჩერდა. დარჩა ორი უმთავრესი ელემენტი რომლების ინტერესთა შეთანხმება შესაძლო იყო.

ესენი იყვნენ ინტელიგენტები, ნასწავლები, რომლებსაც მანიფესტმა ვერაფერი სარგებლობა მოუტანა. იგინი მსახურებდენ მთავრობის დაწესებულებებში და უმაღლეს სწავლა მიღებულთათვის უბრალო რუსის „დვორნიკი“ მაინც მბრძანებელი იყო.

სოც.-ფედერალისტთა პარტიის ღირსება კი იმაშია, რომ იგი იბრძოდა უმეტესად ეროვნული თავისუფლებისათვის. მეორე ელემენტი იყო ის მუშები, რომლის კლასობრივი ინტერესი ითხოვს სოციალისტურ წესების დამყარებას, ამათ გააჩაღეს პარტიული მუშაობა, მაგრამ დრო მუდამ ცვალებადია. საქართველომ ეროვნულს თავისუფლებას მიახწია, მარტო ეს ამაოდა ქართველ დიპლომიანებისთვის, რომ მათ ყველაფერზე ხელი აეღოთ, მოეძებნათ მყუდრო, თბილი, კაბინეტი და არხეინ ცხოვრება შესდგომოდენ და ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ პარტიულ მთავარ ბინაში ამ ხალხის საკარძელი ადლის სიმაღლე მტვერმა დაჰფარა. დარჩა ერთი ნაწილი რომელიც მოვალეა სოციალიზმისთვის ბრძოლა აწარმოოს ეს მშრომელი მუშა ხალხია. ამ ხალხმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა უარყონ ცუდი ძიძები. ამიერიდან სოციალისტ-ფედერალისტმა მუშებმა დაიარსეს სოციალისტური მუშათა პარტია და თავის დროშას დააწერეს „მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეა“. სოც.-ფედერალისტები მუშები უკვე განიწმინდნენ; მათ აქვთ საკუთარი „მაშვრალთა პარტია; ჩამოშორდენ მათ ისინი, ვინც სოციალიზმისთვის ვერ იბრძოლებდენ; დაგვრჩა მცირე რიცხოვანი ნამდვილ სოციალისტურ ინტელიგენცია.

ასე ამხანაგებო, საკუთარი ინიციატივით და გზით სოციალიზმისაკენ! შევკრათ მტკიცე მუშათა ორგანიზაციები და მომავალი ჩვენია. ჩვენი საქმე ახალი და აუცილებელია და ჩვენი გაზეთიც „ახალ ნაკადი“ შრომის და თავისუფლების სამეფოსაკენ.

მუშა მრისხანე.

ჩვენი გზა.

ჩვენ ამიერიდგან დამოუკიდებელი გზით უნდა ვიაროთ, ჩვენ და მათ შორის შემაერთებელი ძაფი გაწყდა...

პირველი შეხედვით ეს თითქოს უდროოა ან განსხვავება არსებითი არაა, მაგრამ ასეთი შეხედვა საქმისადმი ზერელი და დაუკვირვებელი იქნება. ასიმსჯელებენ ფედერალისტთა პარტიის ხელმძღვანელნი, რომელნიც [illegible] არიან მიეთ-მოეთურ წერასა და [illegible] რაკს, იგინი სიტყვით უკიდურესი [illegible] ცნენი არიან, დამცველნი მშრომელი ხალხის ინტერესებისა, მხოლოდ საქმით კი [illegible] სულ უმოქმედონი არიან ან უკეთეს [illegible] თხვევაში ოპორტიუნისტულ პოლიტიკას აწარმოებენ, ან დაუსრულებლად [illegible] ხალებენ მმართველ პარტიას.

განა ტრაგიზმი არ არის პოლიტიკურ პარტიისათვის, რომელიც სამოქმედოთ გამოსულა ეს თვრამეტი წელია და მას ნიადაგი არ მოუპოვებია ხალხში? მაგრამ ამ საკითხისათვის არ მიუქცევიათ სერიოზული ყურადღება, ზოგიერთებს ამის მიზეზათ პროგრამის პრინციპების შინაგანი შეუთანხმებლობა მიაჩნია, მაგრამ აქ პრინციპიალური მხარე არაფერშუაშია. ჩვენის ღრმა რწმენით ამის მიზეზი არის თვით ხელმძღვანელნი პარტიის. პოლიტიკურ პარტიის არსებობა უაღრესად მოქმედებაში უნდა გამოიხატოს, მოქმედებისთვის კი საჭიროა ის კლასი, რომელიც არსებითად დაინტერესებულია პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესობაში. ფედერალისტთა პარტია კი ასეთ კლას არ ეყრდნობა საკუთრებით. ჯერ იყო და მასშიდ თავი მოეყარათ თავად-აზნაურულ ელემენტებს, ამ ელემენტებიდგან, როგორც ქნა შედარებით გაიწმინდა პარტია, მაგრამ მასშიდ დარჩა მცონარე ინტელიგენცია, რომელიც აფერხებს პარტიაში ბუშური ელემენტების გაძლიერებას. ინტელიგენცია ეს ზეკლასიური ჯგუფი უფრო ხშირად თვისი იდეოლოგით სოციალისტურ იერს ატარებს, მაგრამ ნამდვილ რევოლიუციონურ და სოციალისტურ მოძრაობისთვის იგი ფუჭი გამოდის; ამ ერთ შეიძლება სამართლიანად სწერდა ბარქსი, რომ ინტელიგენცია პოლიტიკური ცხოვრებით მხოლოდ-ღა კარიერას ეთებსო, ამისათვის არავის ყურადღება მიუქცევია, მხოლოდ ერთ დროს ამას ეხო განსვენებული არჩილ ჯორჯაძე, მაგრამ მისი სამართლიანი სიტყვა ყრუდ ჩრჩა და ღეს ინტელიგენცია გამოდის როგორც თანამშრომელი მუშათა კლასისა, არამედ როგორც მისი ბატონი და გამგე, რომელიც რევოლიუციის ნამდვილ „გაღრმავების“ დროს უმალვე იქრით იდლება და ბოქმედების მაგივრად „რევოლიუციის დამარცხებას“ გაიხის.

აქედგან დასკვნა მხოლოდ ერთია. ინტელიგენცია უნდა ეწეოდეს ნამდვილ თანამშრომლობას და ხშირად მსახური უნდა იყოს მუშათა კლასის, რომ გაუადვილოს მას გზა სოციალურ რევოლიუციისთვის. ინტელიგენტურ სულისკვეთებიდგან ამომდინარეობს ის საკითხიც, რომ პარლამენტი და საზოგადოთ რეფორმისტული გზა იყო მიჩნეული ერთ მთავარ საშუალებათ პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების გარდაქმნისთვის, ასეთ უაღრეს მნიშვნელობას აძლევდა ფედერალისტთა პარტია სახელმწიფო სათათბიროს, და თითქოს დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი დეპუტატების მბეჭარი სიტყვები მისცემდა ქართველ ხალხს ავტონომიას. მაგრამ ამით სასტიკად დამარცხდა ღეს კი ამ სოციალურ რევოლიუციის ბანაშიდაც პარლამენტი გამოდის, როგორც რეგულიატორი რევოლიუციისა და არა დამაკანონებელი მშრომელი ხალხის მონაპოვარისა. ჩვენ არ უარვყოფთ სრულიად პარლამენტის მნიშვნელობას, და იმდენათ ვითანამშრომლებთ, რამდენადაც ეს ხელს შეუწყობს მუშათა კლასის ინტერესებს“.

ასეთია მოკლედ ჩვენი ახალი გზა მოქმედებისა, ჩვენ არ გამოვყვებით კერძო ფაქტების აღნუსხვას, და დეფექტებს რომელიც მრავალად ჩაუდენია პარტიის ხელძღვანელთ. თუ საჭირო იქნება არც მას ავეიცევით.

ამიერიდგან ჩვენთან იქნება ის ვინც საქმით და არა მხოლოდ სიტყვით არის დაინტერესებული მუშათა ხალხის განთავისუფლებაში. მის ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესებაში. ამ რწმენით ჩვენ მხნედ შევეყურებთ მომავალ პერსპექტივებს.

მანი.

ინგლისი და საქართველოს დამოუკიდებლობა.

ჩვენ მთავრობას ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მოუვიდა შემდეგი დეპეშა: საქართველოს დელეგაციას შეუძლია ევროპაში შესვლა. მისთვის საფრანგეთის მთავრობა ეცდება პარიზში ბინის შოვნას.

ინგლისის მთავრობა თანაგრძნობით ხვდება საქართველოს დამოუკიდებლობას და ეცდება საზავო კონფერენციაზე სხვა სახელმწიფოების წინაშეც დაიცვას ის.

ჩვენს პარტიაში.

ს.-ფედერალისტ ფარმაცევტების კრება.

ორშაბათს, იანვრის 20, საღამოს 9 საათზე, პროფესიონალურ კავშირების საბჭოს ბინაზე (ყოფილი სასტუმრო „ბომონდი“, ელისაბედის ქუჩაზე) დანიშნულია ს.-ფედერალისტ ფარმაცევტთა საერთო კრება ფრიად საჭირო საკითხების გადასაწყვეტად. ამხანაგებს ვსთხოვთ კრებას უეჭველად დაესწრონ და ნუ დაიგვიანებენ.

— ——

მთავარი კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. უსტიაშვილის ნახვა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—9 საათამდის (მუშტაიდის ქ., 15, მემ. ს.-ფედ. მუშათა კლუბში).

——

აქვე ამავე დროს შეიძლება ნახვა გაზეთ „ახალი ნაკადის“ მდივნის ამხ. ალ. იოსელიანისა.

——

ამხანაგებო! გააჩაღეთ ორგანიზაციული მუშაობა. ამ თავითვე შეუდექით დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის სამზადისს! დრო აღარ ითმენს, მომენტი თქვენგან გაცხარებულ მუშაობას მოითხოვს!

„ახალი ნაკადი“.

ახალი ნაკადი მუშათა ცხოვრებაში, ახლად გაღვიძებული ძლიერი ტალღა მშრომელ მასსის გათვითცნობიერებაში. აი ის აქტი რომელსაც ჩვენი პარტიის დაარსება ჰქვია. მუშებო! ცხადია დადგა ის დრო როდესაც მუშათა კლასი სუვერენობით შემოფარგლულ თავის სამშობლოში იწყებს სოციალისტურ მოძრაობას. გვეყო წითელ სიტყვებით მოქარგული რევოლიუციონორობა, დროა საქმით დავამტკიცოთ, რომ ჩვენი ტურფა სამშობლოს ჩაგრული მშრომელი ხალხი თვით ჰედავს თავის ბედნიერებას. ამისათვის ქარხნის მუშა და გლეხი ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა გამოვიდენ საერთო ასპარეზზე, ამისათვის მაშვრალთა ხმა ძლიერად და მედგრათ უნდა მოეფინოს საქართველოს. ჩვენი პარტიის მიზანია მუშამ თავისივე მარჯვენით გამოსჭედოს თავისი ბედი და არა სხვის ტიკინად ქცეულმა, თითების აწევით ადასტაროს სხვისი აზრი და მიმართულება. დღეიდან ყველა აქტიურ მემარცხნე მუშას საშუალება ეძლევა შეეფაროს ჩვენს პარტიას, სადაც იგი იქნება კანონმდებელი პარტიული ცხოვრებისა და არა თბილ კაბინეტებში მოკალათებულ, განყენებულ ინტელიგენტთა ნების აღმსრულებელი. ჩვენთან იქნებიან, რასაკვირელია, ის სოციალისტური მუშა-ინტელიგენცია, რომელიც ჩვენთანერთად გაინაწილებს ჩვენს ჭირს და ვარამს და ჯარისკაცობის მაგიერ გენერლობას არ დაგვიწყებს.

დიახ! ჩვენ გვჯერა რომ ახლო მომავალში შევსძლებთ მემამარცხნე სოციალისტების საერთო ძლიერი ფრონტი შევქნათ, ჩვენ გვჯერა რომ მაშვრალთა მასსა საქართველოს ცხოვრების მესაჭედ გახთება. მაშ ქარხნის და სოფლის მუშავ! დაეწაფე ახალი ნაკადის ანკარა წყაროს გრწამდეს რომ იგი გაანედლებს შენს გულს და შენს ძარღვებში ახალ ძლიერ ძალას ააჩუხჩუბეს.

მხედარი მუშა..

ქუთათურ ამხ. მუშებს!

ამხანაგებო! უკვე მოხდა ის, რომ დაარსდა ნამდვილი სოციალისტური და რევოლიუციონური პარტია—საქართველოს მემარცხნე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთ პარტია. მე, ამხანაგებო, აქ დავესწარი ამ გამოყოფას და კარგათ ვიცი საქმის ვითარება. ამხანაგებო, შეცდომაში არვინ შეგვიყვანოსთ! მოკლე დროში თვით მექნება საშუალება პირადათ გადმოგცეთ ყოველივე. და გრწამდესთ, რომ თქვენი ამხანაგი, თქვენ წრეში ცნობილი მომუშავე შემცდარ გზას არ გაყვებოდა. სრულის შეგნებით მივეკედლე ახალ ცხოველმყოფელ ნაკადს მოგიწოდებთ, თქვენც თქვენებურად შეხვდეთ მას.

მუშა **ნიკიფორე დათეშიძე.**

წერილი რედაქციის მიმართ*).

მოქალაქე რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ საშუალება მოგვცეთ სიმართლის აღსადგენათ საზოგადოებას ვამცნოთ შემდეგი:

15 იანვარის „სახალხო საქმე“-ში მოთავსებულია სოციალ-ფედერალისტების შეოთხე ფედერალური საბჭოს კრების ანგარიში. ამავე საგანს ეხება მეთაური გაზეთის, და განსაკუთრებული მოწოდება, სადაც არის აღნიშნული რომ ალ. წერეთლის პირადი ინტერესების მიხედვით მოქმედების გამო, ჯგუფმა დისონანსი შეიტანა საბჭოს მუშაობაში, რის გამოც ალ. წერეთელი. როგორც პარტიის მაგნე წევრი, საბჭომ პარტიიდან განდევნა. ეს ცნობა სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს. ნამდვილად—ასე ქმე ასე იყო: პარტიაში [illegible] დიდი ოპოზიცია უშების მიერ ამ კრებაზე ლოიკურ დასკვნამდე მივიდა, რადგან პარტიის ხელმძღვანელებმა არა თუ არ მოისურვეს ოპოზიციასთან შეთანხმება და ერთ-სულოვანი მუშაობა, პირიქით სასტიკი დევნა დაუწყეს მას. ამის გამო ოპოზიციამ, რომლის დავალებითაც გამოდიოდა ამხ. ალ. წერეთელი. შეუძლებლად დაინახა დარჩენილიყო ძველი პარტიის ფარგლებში და გამოეყო რა ფედერალურ საბჭოს, დაარსა დამოუკიდებელი პარტია მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებისა. არავითარ პირად გამოსვლას ალ. წერეთელისაგან ადგილი არ ჰქონია, იგი ყოველთვის ჩვენის დავალებით მოქმედებდა,

რათა საზოგადოებამ ნათლად დაინახოს ძველი პარტიის ხელმძღვანელების მუხანათობა და ყოვლად მიუტევებელი ცალმხრივობა, ვაცხადებთ, რომ ოპოზიციამ 13 იანვარს საღამოს ფედერალურ საბჭოს სხდომას თავიხი დელეგატის, ალ. წერეთლის პირით ოფიციალურად განუცხადა, რომ იგი ოპოზიცია პარტიიდან გამოდის და აარსებს დამოუკიდებელ პარტიას. მაგასადამე, სრულიად შეუფერებელი და ყოველ პეშმარიტებას მოკლებულია განცხადება ფედერალური საბჭოსი, რომ რიცხავს პარტიიდან მხოლოდ ალ. წერეთელს და ისიც შავნე მოქმედებისათვის.

თუ რა საფუძველზე დაშორდა ოპოზიცია ძველ პარტიას, ამას ჩვენი პარტია ცალკე აცნობებს ფართე საზოგადოებას.

აქვე მოგვყავს სია იმ დელეგატებისა, რომელნიც შედიოდენ ოპოზიციაში.

1. იაკობ ფანცხავა (ქუთ. საგ. კომ.)
2. ისიდორე ვარაზაშვილი (ჭიათ. კომ.
3. გიორგი ჯანდიერი | ქუთ. მუშ.
4. სერგო გერსამია | კავშირი.
5. ალექს. იოსელიანი | თბილისის.
6. ნიკო უსტიაშვილი | მუშ. კავშ.
7. ალექსანდრე ჯაფარიძე (რაჭის საგაზრო კომ.)
8. ალ. წერეთელი | მ. მთ.
9. გიორ. სულთანიშვილი | გამგ.
10. გიორგი შავიშვილი (გურიის საგაზრო კომ.)
11. ერეკლე კვერეხაძე (ტფ. საამხ. საბჭო).

ამ ოფიციალური დელეგატების გარდა პარტიის დამფუძნებელი კრების ოქმს ხელს აწერენ სხვადასხვა ორგანიზაციის 11 წევრი, რომლებიც სტუმრად დაესწრენ კრებას-.

ხაქ. მემარ. სოც. ფედ. მაშვრალთა პარტიის მთავარი კომიტეტი.

*) ეს წერილი მოთავსებულ იქნა „შრომასა“ და „ერთობაში“

ჩვენი ფოსტა.

ამხანაგ მუშებს. მრავალ-რიცხოვანი მემარცხენე სოც-ფედ. მაშვრალთა პარტიის მუშათა კრების ანგარიში დაიბეჭდება შემდეგ ნუმერში.

რედაქტორ-გამომცემელ

სარედაქციო კოლეგია.

სტამბა „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის“, გოლოვინის ქუჩ. ტელ. 4—73.